სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლა
LEPL - Borjomi Municipality Bakuriani Borough Public School

03/12/2025

MES 3 25 0001717429

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სსიპ - ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიშს:

ა) სკოლაში სულ 2 მოთხოვნა შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 2 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე 45 მოთხოვნა შემოვიდა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოსულია 10 მოთხოვნა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.ა

ვ) სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა და შესაბამისად გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

დ.ალმაშენებლის ქ. №11 ტ. (0 367) 24 00 91; 599 55 82 85
E-mail : bakuriani@mes.gov.ge

ზ) სკოლის მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

ამასთან სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	2
საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა	0
საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება	0
საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე მოთხოვნა	0
პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე მოთხოვნა	45
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	10
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0

პატივისცემით,

სამცხე-ჯავახეთის საგანმანათლებლო რესურცენტრი
ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანის
საჯარო სკოლა
დირექტორი
ბლიაძე თამარ